

შპს ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ნაწილი	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა	8
4. ფულადი სახსრები.	13
5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.	13
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.	14
7. ძირითადი საშუალებები.	14
8. სავაჭრო ვალდებულებები.	15
9. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება.	15
10. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება.	15
11. ადმინისტრაციული ხარჯები.	15
12. ფინანსური შემოსავალი.	16
13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.	16

შპს ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი
ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით

(1 ლარი)

შენიშვნა	31.12.2020	01.01.2020	01.01.2019
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	4	425 163	182 144
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	179 229	87 644
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	325 022	372 699
სულ მიმდინარე აქტივები		929 414	642 487
გრძელვადიანი აქტივები			
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში		22 742	-
ძირითადი საშუალებები	7	2 519 686	2 454 945
არამატერიალური აქტივები		24 061	23 041
სულ გრძელვადიანი აქტივები		2 566 489	2 477 986
სულ აქტივები	3 495 903	3 120 473	2 717 389
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხი		-	-
სავაჭრო ვალდებულებები	8	165 510	64 144
გადასახდელი პროცენტი		-	29
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		14 301	8 982
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		-	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		179 811	73 155
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ბანკის სესხი		-	2 596
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	2 596
სულ ვალდებულებები	179 811	75 751	170 129
საკუთარი კაპიტალი			
რეზერვი			
სააქციო კაპიტალი		988 913	988 913
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		2 000	2 000
		2 325 179	2 053 809
სულ საკუთარი კაპიტალი	3 316 092	3 044 722	2 547 260
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3 495 903	3 120 473	2 717 389

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 05 იანვარს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- მაია გოთუა

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი
 ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
 (ლარში)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
(1 ლარი)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	9	2 290 205	2 609 442
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	10	(1 425 413)	(1 240 251)
საერთო მოგება		864 792	1 369 190
სხვა შემოსავალი		-	-
კომერციული დანახარჯები		(1 025)	-
ადმინისტრაციული ხარჯები	11	(610 390)	(921 515)
დადებითი საკურსო სხვაობა		12 701	571 970
ფინანსური შემოსავალი	12	26 264	101 503
უარყოფითი საკურსო სხვაობა		(19 780)	(569 511)
ფინანსური დანახარჯები		(1 192)	(54 174)
მოგება დაბეგვრამდე		271 370	497 462
მიმდინარე წლის მოგება		271 370	497 462

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 05 იანვარს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- მაია გოთუა

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი
 ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
 (ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2020	2 000	2 053 809	988 913	3 044 722
სხვა ცვლილება	-	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	271 370	-	271 370
დივიდენდის განაწილება				-
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	2 000	2 325 179	988 913	3 316 092

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 05 იანვარს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- მაია გოთუა

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი
ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

	საანგარიშგებო პერიოდი	საანგარიშგებო პერიოდი
	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	2218362	2212819
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-860953	-539337
გაცემული შრომის ანაზღაურება	-827242	-1012603
გადახდილი გადასახადი	-226315	-329600
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები (საბანკო ხარჯები)	-45298	
გადახდილი პროცენტები	-29	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	258525	331279
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	-22742	-944530
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-22742	-944530
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხების დაფარვა/აღება	-2642	-113660
დივიდენდის გაცემა		
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	-2642	-113660
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	9877	-3834
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	243018	-730744
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	182145	912889
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	425163	182145

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 05 იანვარს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი ----- მაია გოთუა

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

შპს „ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 1999 წლის 06 მაისს ვაკის სასამართლოს მიერ სასამართლოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 204929140, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, დიდუბის რ-ნი ლუბლიანას ქ. 2/6, კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია:

მაია გოთუა (პ/ნ 01017005676) -100%.

კომპანიის დირექტორია:

მაია გოთუა (პ/ნ 01017005676)

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ზოგადი სამედიცინო მომსახურების გაწევა.

კომპანიას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი

2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. კომპანია იყენებს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონის მიერ დაწესებულ შეღავათს და არ წარადგენს შესადარის ინფორმაციას და ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისს.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის (იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში) და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3.გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა შედგება:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საეჭვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული

დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების

შპს ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც

დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული საღაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

კომპიუტერული ტექნიკა - 5-10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით ამორტიზდება 10% განაკვეთით.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე.

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

შპს ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
 (ლარში)

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური
 გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6468 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

4. ფულადი სახსრები.

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება:

	2020	2019	2018
ნაღდი ფული ლარებში	1 283	2 788	2 133
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	397 263	174 360	906 296
უცხოური ვალუტა ადგილობრივ ბანკებში	26 617	4 996	4 459
სულ	425 163	182 144	912 889

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები შედგება:

	2020	2019	2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	168 382	82 102	111 164
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5 661	3 519	-
წინასწარ გადახდილი თანხები	5 186	2 023	-
სულ	179 229	87 644	111 164

2020 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს. გადაუხდელი
 მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე.

შპს ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.

მარაგები წარმოდგენილია გასაყიდად განკუთვნილი საქონლით:

	2020	2019	2018
ნედლეული მასალები	325 022	372 699	141 789
სულ	325 022	372 699	141 789

7. ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები შედგება:

	მიწის ნაკვეთი	დაუმთავრებელი შენიშვნა	შენობა ნაგებობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ბალანსი 2020 წლის 1 იანვარი	982 018	39 724	1 298 448	12 850	145 059	29 070	26 240	2 533 409
შემოსვლა		34 710			137 427	7 190		179 327
გასვლა								-
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	982 018	74 434	1 298 448	12 850	282 486	36 260	26 240	2 712 736
დაგროვილი ცვეთა								
ბალანსი 2020 წლის 1 იანვარი	-	-	(46 723)	(912)	(21 793)	(4 608)	(4 429)	(78 464)
ცვეთის ხარჯი			(51 938)	(1 928)	(52 354)	(3 119)	(5 248)	(114 586)
გასული ძირითადი საშუალებების დაგროვილი ცვეთა								-
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	-	-	(98 660)	(2 839)	(74 147)	(7 726)	(9 677)	(193 050)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
ბალანსი 2020 წლის 1 იანვარი	982 018	39 724	1 251 725	11 938	123 266	24 462	21 811	2 454 945
ბალანსი 2020 წლის 31 დეკემბერი	982 018	74 434	1 199 788	10 011	208 339	28 534	16 563	2 519 686

შპს ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
 (ლარში)

8. სავაჭრო ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები შედგება:

	2020	2019	2018
კრედიტორული დავალიანება მომსახურებიდან	131 462	33 340	49 449
მიღებული ავანსები	34 048	30 804	
სულ	165 510	64 144	49 449

9. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება.

2020 წლის ამონაგები შედგება:

	2020	2019
შემოსავალი სამედიცინო მომსახურებიდან	2 168 533	2 423 601
შემოსავალი არასამედიცინო მომსახურებიდან	121 672	185 840
სულ	2 290 205	2 609 441

10. რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება.

2020 წლის თვითღირებულება შედგება:

	2020	2019
პირდაპირი ხელფასი	750 282	731 792
დამხმარე მასალების ხარჯი	664 311	450 523
სხვა საოპერაციო ხარჯი	10 820	57 938
სულ	1 425 413	1 240 252

11. ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანიის 2020 წლის ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	289 328	547 265
კომუნიკაციის ხარჯი	10 235	10 703
კომუნალური ხარჯი	16 483	16 147
ცვტა და ამორტიზაცია	114 586	81 779
სხვა ხარჯები	179 758	265 621
სულ	610 390	921 515

შპს ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
 (ლარში)

12. ფინანსური შემოსავალი.

კომპანიის 2020 წლის ფინანსური შემოსავლები შედგება:

	2020	2019
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	19 625	88 383
საპროცენტო შემოსავალი	6 639	13 119
სულ	26 264	101 503

13. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 05 იანვარს.

შპს ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი
ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31
დეკემბერს
(ლარი)


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით
(1 ლარი)

	31.12.2020	01.01.2020	01.01.2019
4	425 163	182 144	912 889
5	179 229	87 644	111 164
6	325 022	372 699	141 789
	929 414	642 487	1 165 842
7	22 742	-	-
	2 519 686	2 454 945	1 525 896
	24 061	23 041	25 651
	2 566 489	2 477 986	1 551 547
	3 495 903	3 120 473	2 717 389
8	-	-	-
	165 510	64 144	49 449
	-	29	-
	14 301	8 982	3 260
	-	-	-
	179 811	73 155	52 709
	-	2 596	117 420
	-	2 596	117 420
	179 811	75 751	170 129
/	988 913	988 913	988 913
	2 000	2 000	2 000
	2 325 179	2 053 809	1 556 347
	3 316 092	3 044 722	2 547 260
	3 495 903	3 120 473	2 717 389

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 05 იანვარს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი



მაია გოთუა

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი


ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
(1 ლარი)

	2020	2019
9	2 290 205	2 609 442
10	(1 425 413)	(1 240 251)
	<u>864 792</u>	<u>1 369 190</u>
	-	-
	(1 025)	-
11	(610 390)	(921 515)
	12 701	571 970
12	26 264	101 503
	(19 780)	(569 511)
	(1 192)	(54 174)
	<u>271 370</u>	<u>497 462</u>
	<u>271 370</u>	<u>497 462</u>

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 05 იანვარს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი



მაია გოთუა

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.


შპს ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი
 ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31
 დეკემბერს
 (ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
 (1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2020	2 000	2 053 809	988 913	3 044 722
	-	-	-	-
	-	271 370	-	271 370
დამატების განაწილება	-	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	2 000	2 325 179	988 913	3 316 092

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 05 იანვარს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი



მაია გოთუა

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური
 ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრი

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)


ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

		2020	2019
		2218362	2212819
		-860953	-539337
		-827242	-1012603
		-226315	-329600
	()	-45298	
		-29	
		258525	331279
		-22742	-944530
		-22742	-944530
		-2642	-113660
		-2642	-113660
		9877	-3834
		243018	-730744
	()	182145	912889
	()	425163	182145

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 05 იანვარს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი



მაია გოთუა

თანდართული შენიშვნები მე-7 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.